დანართი 3

რეგ. № _____ თარიღი: __ _____ __

(ივსება წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ)

დამტკიცებულია

სემეკის 2020 წლის 30 იანვრის N8/25 გადაწყვეტილებით

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

აბონენტის გაყოფის შესახებ
(უძრავი ქონების გაყოფის შემთხვევაში)

განმცხადებლის საყურადღებოდ!

წყალმომარაგების ლიცენზიატი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს წესებით განსაზღვრული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.

როდესაც, ტექნიკური პირობის შესაბამისად, მიერთების მსურველი თავად (თვითონ ან სხვა პირის მეშვეობით) უზრუნველყოფს მიერთებისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, იგი ვალდებულია ობიექტის მიერთების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დასრულების შემდეგ განაცხადით მიმართოს წყალმომარაგების ლიცენზიატს აღრიცხვის კვანძის მოწყობის და ქსელზე შეჭრის სამუშაოების განხორციელების მოთხოვნით. ამასთან, იგი ვალდებულია, განაცხადის წარდგენამდე წინასწარ გადაიხადოს „მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის“ 50 პროცენტი, მის მიერ თითოეულ მომხმარებლისთვის განაცხადით მოთხოვნილი წარმადობისა და ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძის რაოდენობის მიხედვით (დანართით №4, განსაზღვრული შეთავაზებული პაკეტების შესაბამისად). დარჩენილი თანხის გადახდა ახალი მომხმარებლის მიერ უნდა მოხდეს წყალმომარაგების დაწყების თარიღიდან 10 დღის განმავლობაში.

თუ მომხმარებლის კუთვნილი უძრავი ქონება, რომელიც მიერთებული იყო წყალმომარაგების სისტემასთან გაიყო და მის ადგილზე განვითარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, გამოყოფილი უძრავი ქონების/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებაზე ვრცელდება წყალმომარაგების სისტემაზე ახალი მომხმარებლის მიერთების წესი, შესაბამისი საფასური და პროცედურები, მიუხედავად იმისა, თუ რა ტექნიკური პარამეტრებით იყო მიერთებული თავდაპირველი ქონება წყალმომარაგების სისტემაზე. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განვითარებისას ივსება წყალმომარაგების სისტემაზე ორი ან ორზე მეტი ახალი მომხმარებლის მიერთების ფორმა.

განაცხადთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინება ხდება ელექტრონული ფორმით, მომხმარებლის მიერ განაცხადში მითითებულ ძირითად და ალტერნატიულ ნომრებზე ან/და ელექტრონულ მისამართზე.

წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ მიერთების სამუშაოების დასრულებისას მომხმარებელს ეგზავნება შეტყობინება. მიერთების სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ პერიოდზე, მომხმარებელს უნდა დაერიცხოს კომპენსაცია კომისიის მიერ დადგენილი საფასურის 50 პროცენტის ოდენობით.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში განმცხადებელი არ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას წესებით განსაზღვრული ინფორმაციის მითითებით, განმცხადებელი უფლებამოსილია, მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე მარეგულირებელ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებ გვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216.

განაცხადის შევსების თარიღი „_____“ _____ , 20____წ.

I. ძირითადი ინფორმაცია

1. განცხადების ადრესატი: _____ ;

(იმ წყალმომარაგების ლიცენზიატის დასახელება, რომლის ქსელზეც მოთხოვნილია სამუშაოები)

2. განმცხადებელი: _____;

(სახელი, გვარი ან იურიდიული პირის შემთხვევაში მისი სახელწოდება)

3. პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:_____;

4. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

4.1. მისამართი: _____;

4.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე[1] ან მისამართზე[2]:

- ძირითადი;

☐ ☐☐ ☐☐ ☐☐ ☐☐

(მობ. ოპერატორი კოდი) (მობ. ნომერი)

---

[1] აღნიშნული ნომრიდან *303# აკრეფით მომხმარებელს შეუძლია მობილური სერვისებით ინტერაქციულად სარგებლობა (ელ. ქვითარი, წყვეტები და სხვა).

[2] მითითებული ელ. ფოსტა გამოყენებული იქნება კომისიის ,,მომხმარებლის პორტალზე“ როგორც მომხმარებლის სახელი და საკონტაქტო ელ. მისამართი.

☐ ☐☐ ☐☐ ☐☐ ☐☐ - ალტერნატიული;

(მობ. ოპერატორი კოდი) (მობ. ნომერი)

_ _ — _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ @ _ _ _ _ _ _ _ _ _ - ძირითადი;

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

_ _ — _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ @ _ _ _ _ _ _ _ _ _ - ალტერნატიული.

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

5. არსებული (ძირითადი) აბონენტის № _____;
6. არსებული აბონენტის სასმელი წყლით მომარაგების ტექნიკური მახასიათებლები (არსებული ტექ. მახასიათებლები):

   6.1. მოხმარების მიზნობრიობა: ☐ საყოფაცხოვრებო; ან ☐ არასაყოფაცხოვრებო.

   6.2. მიერთების ტიპი: ☐ სრული (სასმელი წყალი და წყალარინება); ☐ სასმელი წყალი; ან ☐ წყალარინება;

   6.3. მისაერთებელი ობიექტის სასმელი წყლის მრიცხველის დიამეტრი: _____ ;
7. გამოყოფილ ობიექტის მონაცემები:

   7.1. ადგილი (მისამართი), სადაც მოთხოვნილია აბონენტის გაყოფა:

   _____ ;

   7.2. გამოყოფილი უძრავი ქონების საკადასტრო კოდი, სადაც მოთხოვნილია წყალმომარაგება:_____ ;

   7.3. სასმელი წყლის მოხმარების მიზნობრიობა: ☐ საყოფაცხოვრებო; ან ☐ არასაყოფაცხოვრებო.

   7.4. მიერთების ტიპი: ☐ სრული (სასმელი წყალი და წყალარინება); ☐ სასმელი წყალი; ან ☐ წყალარინება;

   7.5. მისაერთებელი ობიექტის სასმელი წყლის მრიცხველის დიამეტრი: _____ ;

II. ძირითადი მოთხოვნა:

8. გთხოვთ, კომისიის მიერ დამტკიცებული „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ დადგენილ ვადაში, წინამდებარე განაცხადში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, გამიფორმოთ ხელშეკრულება. ხოლო ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების პირობებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მომცეთ წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების ტექნიკური პირობა განაცხადში მოცემული ტექნიკური პარამეტრების გათვალისწინებით (წინამდებარე განცხადების მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში).
9. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ წესებით და ,,მომსახურების ხარისხის წესებით“ განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის დროულად გადავიხდი ჩემ მიერ მოთხოვნილ მომსახურებაზე დადგენილ საფასურს.

III. დამატებითი ინფორმაცია:

10. მესაჭიროება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა: ☐ დიახ; ან ☐ არა.
11. წყალმომარაგების ლიცენზიატის მიერ შეტყობინების გაგზავნის ფორმა: ☐ წერილობითი; ან ☐ ელექტრონული.
12. განაცხადში მოცემული ჩემი პირადი ნომერი, ტელეფონი ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი:

    12.1. გამოყენებულ იქნეს სასმელი წყლით მომარაგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით: ☐ დიახ, ან ☐ არა;

    12.2. მიეწოდოს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში მომსახურე შემდეგ საწარმოებს, სადაც, განაცხადში მოცემულ მისამართზე, რეგისტრირებული ვარ მომხმარებლად და გამაჩნია აბონენტის ნომერი: ☐ დიახ ან ☐ არა

    1) _____ ; 2) _____ .
13. თანახმა ვარ, ქვითარი მივიღო ელექტრონული ფორმით ქვითრის მიწოდების შესახებ თანდართული შეთანხმების შესაბამისად: ☐ დიახ; ☐ არა; ან ☐ უკვე ვსარგებლობ ამ მომსახურებით.

IV. თანდართული დოკუმენტაცია:

14. აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (სურვილის შემთხვევაში)

    ☐ და გადახდილი თანხა სიტყვიერად: _____ ;
15. უძრავი ქონების მესაკუთრის წერილობითი თანხმობა გაყოფის პირობებზე (მონიშნეთ ობიექტის დროებით

ფლობის შემთხვევაში); ☐

16. ელექტრონული ფორმით ქვითრის მიწოდების შესახებ შეთანხმება (სურვილის შემთხვევაში); ☐
17. გადახდაზე პასუხისმგებელი პირის წერილობითი თანხმობა (იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა არიან განმცხადებელი და გადახდაზე პასუხისმგებელი პირი); ☐
18. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში) _____; ☐
19. დანართი სულ: _____ ფურცელი.

განმცხადებლის/უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____